საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/165 " 20 " სექტემბერი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

ვ. მშვენიერაძის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2021 წლის 14 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი და აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეებს მიეცათ ვადა შესაბამისი განცხადებების წარმოდგენისათვის. 2021 წლის 15 სექტემბერს მიღებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ვასილ მშვენიერაძის განცხადება.

ვასილ მშვენიერაძეს აქვს მოსამართლედ მუშაობის 13-წლიანი გამოცდილება, მათ შორის მას აქვს მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილებაც. იგი იყო გორის რაიონული, მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე, ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე. ვასილ მშვენიერაძე 2021 წლის იანვრიდან არის თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვასილ მშვენიერაძე დაინიშნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ 2021 წლის 21 სექტემბრიდან, 5 წლის ვადით.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე